საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-08/614

ქ. ბათუმი 11 ოქტომბერი, 2019წ

„2019 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ბსუ-ში ჩარიცხვის შესახებ“ ბსუ–ს რექტორის 2019 წლის 16 სექტემბრის №01-08/425 ბრძანებაში დამატების შეტანის შესახებ

ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 16 აგვისტოს №01-02/131 ბრძანების თანახმად, ბსუ-ში ჩარიცხვის უფლების მქონე აბიტურიენტთა რეგისტრაცია ხორციელდებოდა 2019 წლის 02 სექტემბრიდან 12 სექტემბრის ჩათვლით. აბიტურიენტთა რეგისტრაციისათვის განსაზღვრული ვადის გასვლის შემდგომ, ბსუ-ში ჩარიცხვის უფლების მქონე აბიტურიენტმა თამარ გაბაიძემ განცხადებით მომართა ბსუ-ს (27.09.2019) და ითხოვა რეგისტრაციის უფლების მინიჭება და ბსუ-ს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ვინაიდან საპატიო მიზეზის გამო დროულად ვერ შეძლო რეგისტრაციის გავლა. წარმოდგენილ განცხადებას თან ერთვის ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, რითაც დასტურდება აბიტურიენტ თამარ გაბაიძის ბსუ-ში გამოცხადებისა და რეგისტრაციის გავლის შეუძლებლობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია დაკმაყოფილდეს აბიტურიენტ თამარ გაბაიძის მოთხოვნა და შევიდეს დამატება „2019 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ბსუ-ში ჩარიცხვის შესახებ“ ბსუ–ს რექტორის 2019 წლის 16 სექტემბრის №01-08/425 ბრძანებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-56-ე, 63-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, ,,ბსუ-ს რექტორის მოადგილეთა უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ” ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 06 თებერვლის N01-08/7 ბრძანების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის“ 39-ე მუხლის, ,,კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ იმ აბიტურიენტთათვის, რომლებმაც 2019 წელს მოიპოვეს ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო - სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება“ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 2 სექტემბრის N152/19 ბრძანების, აბიტურიენტ თამარ გაბაიძის 2019 წლის 27 სექტემბრის N1286333 განცხადების, ბსუ-სა და თამარ გაბაიძეს შორის გაფორმებული 2019 წლის 04 ოქტომბრის N21-15/343-1902/ბ ხელშეკრულებისა და სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის, სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსის ლაშა მიქელაძის 2019 წლის 05 ოქტომბრის N1342553 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „2019 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ბსუ-ში ჩარიცხვის შესახებ“ ბსუ–ს რექტორის 2019 წლის 16 სექტემბრის №01-08/425 ბრძანებაში შევიდეს დამატება, კერძოდ, ბრძანების №1 დანართს დაემატოს ბსუ-ში ჩარიცხვის უფლებამოსილი აბიტურიენტი თამარ გაბაიძე

2. ბრძანება აისახოს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.

3. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სტუდენტს და განთავსდეს მის პირად საქმეში.

4. წინამდებარე ბრძანება გაიგზავნოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

6. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

რექტორის მოადგილე, პროფესორი **თ. სირაძე**